



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი  
სპეციალობა), ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

15.03.2021 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი

28.04.2021 წ.

თბილისი

2021

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

|   |  |
|---|--|
| დაწესებულების სახელწოდება<br>ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის<br>მიითითებთ | საჯარო სამართლის იურიდიული პირი -<br>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი  | 204861970  |
| დაწესებულების სახე  | უნივერსიტეტი   |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

|  |  |
|--|--|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება  | დედამიწის შემსწავლელი<br>მეცნიერებები (ძირითადი და<br>დამატებითი სპეციალობა) |
| უმაღლესი განათლების საფეხური   | ბაკალავრიატი   |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>   | დედამიწის შემსწავლელი<br>მეცნიერებების ბაკალავრი                             |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი   | 0532 დედამიწის შემსწავლელი<br>მეცნიერებები/Earth Sciences                    |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის<br>საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის<br>სწავლების უფლების მიითითება<br>(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-<br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის<br>მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | -  |
| სწავლების ენა  | ქართული  |
| ECTS კრედიტების რაოდენობა  | 240 ECTS   |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული/<br>პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო<br>აკრედიტაცია)<br>შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი,<br>თარიღი)  | აკრედიტებული<br>№ 452, 9 დეკემბერი 2011                                      |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

|  |  |
|--|--|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი,<br>უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | შალვა კელეპტრიშვილი, საქართველოს<br>ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,                   | მალხაზ დვინჯილია, საქართველოს შოთა                                     |

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

|   |   |
|---|---|
| ქვეყანა)  | რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო                      |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ბრეგვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ცოტნე ცაავა, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო     |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) |   |

### აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

#### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა “დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, გეოლოგია, გეოფიზიკა) (ძირითადი სპეციალობები)”, რომელმაც აკრედიტაცია მოიპოვა 2011 წელს, მოიცავდა სამ მიმართულებას და ითვალისწინებდა ერთ-ერთი მიმართულებით შესაბამისი საბაკალავრო ხარისხის მინიჭებას. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის პროცესში სასწავლო პროგრამა მოდიფიცირდა და ჩამოყალიბდა, როგორც „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), რომელიც ითვალისწინებს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას. პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრირებით.

რეაკრედიტაციის მიზნებისთვის წარდგენილ საბაკალავრო პროგრამაში “დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)” განახლდა პროგრამის მიზნები, სტრუქტურა, დაზუსტდა სასწავლო კურსების წინაპირობები და სწავლის შედეგები თანამედროვე ტენდენციების და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, განახლდა პროგრამის სტრუქტურა და შემუშავდა პროგრამის რუკა.

#### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად (MES 2 20 00474358, 16.06.2020), რომლის მიხედვით განისაზღვრა ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა: ა) შალვა კელეპტრიშვილი (თავმჯდომარე); ბ) მალხაზ ღვინჯილია (წევრი); გ) გიორგი ბრეგვაძე (წევრი); დ) ცოტნე ცაავა (წევრი). აკრედიტაციის ვიზიტამდე მოხდა ექსპერტთა ჯგუფის ონ-ლაინ შეხვედრა, მოსაზრებების გაზიარება და ფუნქცია-მოვალეობების განაწილება.

ვიზიტი უნივერსიტეტში დაიწყო 11:00 სთ-ზე (12.03.2021). შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტი გაგრძელდა 2021 წლის 15 მარტს. შეხვედრა ჩატარდა ონ-ლაინ რეჟიმში და დაიწყო 10:00 სთ-ზე. დღის წესრიგის მიხედვით ჩატარდა ინტერვიუ შემდეგ ჯგუფებთან:

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
2. თვითშეფასების ჯგუფთან;

3. პროგრამის ხელმძღვანელებთან;
4. აკადემიურ პერსონალთან;
5. მოწვეულ პერსონალთან;
6. სტუდენტებთან;
7. კურსდამთავრებულებთან;
8. დამსაქმებლებთან;
9. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სადაც არის დაგეგმილი პროგრამის განხორციელება, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა. გადამოწმდა პროგრამით გათვალისწინებული საჭირო რესურსების არსებობა.

შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნეს აკრედიტაციის ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ ატმოსფეროში, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა იყო თანამშრომლობითი და კონსტრუქციული.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობით. კერძოდ,

**სტანდარტი 1.** - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 1.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 1.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

**სტანდარტი 2.** - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 2.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.2. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.3. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.4. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.5. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.6. – შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**სტანდარტი 3.** - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 3.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა არ შეფასებულა, რადგან წარმოდგენილი პროგრამა საბაკალავროა, შესაბამისად არ საჭიროებს მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელებს.

**სტანდარტი 4.** - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 4.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 4.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 4.3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 4.4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

**სტანდარტი 5.** - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 5.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 5.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 5.3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ **რეკომენდაციები**

**სტანდარტი 2**

- სასწავლო კურსს „საბაკალავრო ნაშრომი“ დაემატოს დაშვების წინაპირობები, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან;
- შეიცვალოს სემესტრულ სარეკომენდაციო გეგმის VII და VIII სემესტრის ჩანაწერი: კურსი/ კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტიანი. დაზუსტდეს შემდეგი რედაქციით: კურსი/ კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტი;
- სასწავლო კურსებში „ლიტერატურული მეხსიერება“, „ბავშვთა დაცვის პოლიტიკა“, „გერმანულენოვანი ლიტერატურა“, „აკადემიური მუშაობის ტექნიკები“ სწავლის შედეგები გაიწეროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად;
- სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა;
- სასწავლო კურსში „სტრატეგრაფიისა და გეოქრონოლოგიის საფუძვლები“ სავსე სამუშაო შეიცვალოს პრაქტიკულით და გაიწეროს მისი თემატიკა;
- იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც ინტეგრირებულია პრაქტიკები, გაიზარდოს პრაქტიკის საათების რაოდენობა.
- სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები უფრო დეტალიზებული და გამჭვირვალე გახდეს.

**სტანდარტი 3**

- საჭიროა გაიზარდოს პროგრამის აქტივობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და მისი სტუდენტებისათვის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობა შეიქმნას.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**სტანდარტი 2**

- სასურველია პროგრამაში ჩანდეს ინგლისური ენის გარდა სტუდენტებისათვის სხვა ენების შეთავაზების შესაძლებლობა;
- სასურველია გასწორდეს სასწავლო კურსების დედამიწა-შესავალი გეოლოგიაში I და დედამიწა-შესავალი გეოლოგიაში II სალექციო თემატიკების შინაარსი;
- სასურველია სასწავლო კურსებში „მინერალოგიისა და გეოქიმიის საფუძვლები“ და „დედამიწის ქერქის ქანები“ გაიზარდოს პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების საათების რაოდენობა;
- სასურველია, იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც ტარდება ლაბორატორიული სამუშაოები და პრაქტიკები ცალკე საკითხად გაიწეროს უსაფრთხოების წესები და ნორმები, საწარმოო სანიტარიის, უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები;
- სასურველი იქნება დამსაქმებლებთან/პარტნიორებთან ისეთი მემორანდუმების და შეთანხმებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას და ჩასატარებელი სამუშაოების ხანგძლივობას;
- გასწორდეს სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასების სისტემაში მიმდინარე შეფასების და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი ქულების ჯამი, რაც საჭირო იქნება სტუდენტის დამატებით გამოცდაზე გასასვლელად (FX).
- დაიხვეწოს სილაბუსებში გაწერილი მიმდინარე შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები;
- სასურველია პროგრამის სილაბუსებში აისახოს რა ვადაში შეუძლია სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლა FX-ის მიღების შემთხვევაში;
- სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსებში თითოეული აქტივობის შეფასების ქულების ხვედრითი წონა;
- სასწავლო კურსის სილაბუსებში აღმოიფხვრას ტექნიკური ხასიათის შეცდომები და შეივსოს ინფორმაცია სრულყოფილად.

**სტანდარტი 3**

- სასურველია უფრო აქტიურად ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან და გაიზარდოს მათი ინფორმირებულობა პროგრამის მიერ შეთავაზებული შესაძლებლობების შესახებ.

**სტანდარტი 4**

- სასურველია პროგრამის ბიუჯეტის გათვლა მომხდარიყო არა მისი ნაწილის, არამედ მთელი პროგრამის მოცულობით.

**სტანდარტი 5**

- სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას სხვა უსდ-ებში დასაქმებული კოლეგების მიერ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერის პროგრამული სისტემა "არგუსი"  
(არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა).

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები (დაკვნის თარიღი: 09/12/2011) ამგვარად გამოიყურება:

- უნივერსიტეტის ადმინისტრირების მიდგომების მიხედვით, დეკანი წარმოადგენს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელს. მიზანშეწონილია, თითოეული პროგრამისათვის დამატებით შეირჩეს პროგრამის თანახელმძღვანელი, რაც უზრუნველყოფს წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის შედგომ დახვეწას და პერსპექტიულ განვითარებას.
- მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი კომპეტენციების განვითარების მიზნით, სასურველია, კურსების „საველე პრაქტიკა-1“ და „საველე პრაქტიკა-2“ სტატუსი არჩევითის ნაცვლად შეიცვალოს სავალდებულოდ.
- მიზანშეწონილია ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსი გადახალისდეს პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისად (მაგ, ქიმია, გეოეკოლოგიის საფუძვლები), ინგლისურენოვან ლიტერატურასთან ერთად მიეთითოს ქართულენოვანი სასწავლო მასალაც, ასევე, სასწავლო კურსების მიერ ჩამოსაყალიბებელი კომპეტენციებიდან გამომდინარე, სასწავლო დატვირთვაში გაიზარდოს პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების წილი.
- პროგრამის სწავლის შედეგებიდან და კომპეტენციებიდან გამომდინარე, სასურველია, ეკოლოგიური და გარემოს დაცვის დისციპლინების შემოტანა ან სასწავლო კურსის „გეოეკოლოგიის საფუძვლების“ სტატუსი არჩევითის ნაცვლად შეიცვალოს სავალდებულოდ.
- სასურველია, კურიკულუმში ნათლად გამოიკვეთოს არსებული სასწავლო კურსების ლოგიკური თანმიმდევრობა ერთი კომპეტენციის ფარგლებში, ასევე ზუსტად დაკონკრეტდეს სასწავლო კურსების წინაპირობები.
- სასურველია, სასწავლო კურსების კომპეტენციები დაკონკრეტდეს და კურიკულუმში წარმოდგენილ კომპეტენციათა რუკაში გაიწეროს ამ კონკრეტიკის გათვალისწინებით.
- სასწავლო კურსის „ფიზიკის თანამედროვე ექსპერიმენტული მეთოდები“, წინაპირობაა „ინგლისურ ენაზე დაწერილი სამეცნიერო სტატიის გარჩევის უნარი“. რამდენადაც, კურსი განკუთვნილია ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის წინაპირობების განსაზღვრისას მეტი ყურადღება დაეთმოს შესაბამისი კომპონენტის გავლისათვის შესაბამისი ცოდნისა თუ უნარების აუცილებლობას. მით უმეტეს რომ, კურსის შინაარსიდან ირკვევა, რომ სტუდენტს აღნიშნული კომპეტენციის ფლობა არ მოეთხოვება კურსის წარმატებით ათვისებისათვის.
- სასწავლო კურსი „კარტოგრაფიის საფუძვლებში“, კურსის მეთოდია ლექცია და სემინარი, მაშინ როცა კურსის მიზანში „სემინარის“ ნაცვლად მოხსენიებულია „ლაბორატორიული სამუშაო“. მიზანშეწონილია მოხდეს აღნიშნული ტერმინების სისტემაში მოყვანა; მიზანშეწონილია სასწავლო კურსს „ქანების ფიზიკას“ წინაპირობად განესაზღვროს სასწავლო კურსები „კალკულუსი“ და „ექსპერიმენტული ფიზიკა“.
- დასაქმების სფეროებში მითითებულია გეოეკოლოგია და ეკოლოგიური მონიტორინგი. შესაბამისად, სასურველია გაძლიერდეს ეკოლოგიის მიმართულებით საგნების სწავლება.  
უნდა აღვნიშნოთ, რომ წინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების დიდი ნაწილი გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

**მოსაზრებები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინასწარი დასკვნის მიმართ  
არგუმენტირებულ პოზიციებთან დაკავშირებით**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული დოკუმენტაციით დგინდება, რომ პირველი, მეორე და მესამე რეკომენდაცია ჩაასწორეს და ვთვლით რომ ეს ჩაასწორება მისაღებია. რაც შეეხება დანარჩენ რეკომენდაციებზე არგუმენტირებულ პოზიციებს, ექსპერტთა ჯგუფი მას არ ეთანხმება და ჩვენს პოზიციებს წარმოვადგენთ ზეპირი მოსმენის დროს.



# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მასში მკაფიოდ არის ასახული ის ცოდნა და უნარები, რომელთა განვითარებაც გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში. კერძოდ, პროგრამის მიზანია,

- შეასწავლოს სტუდენტს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ფუნდამენტური ცნებები, კონცეფციები და თანამედროვე თეორიები და აჩვენოს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების მულტიდისციპლინური და ინტერდისციპლინური ხასიათი, გამოყენების არეალი და მნიშვნელობა სოციო-ეკონომიკურ და გარემოსდაცვით კონტექსტში;
- აღჭურვოს სტუდენტი პრობლემების იდენტიფიცირების და ეფექტურად გადაჭრის უნარებით კვლევის რაოდენობრივი მეთოდების და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- მოამზადოს სტუდენტი წარმატებული პროფესიული კარიერისთვის, მათ შორის მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად;
- აღჭურვოს სტუდენტი ისეთი ტრანსფერული უნარებით, როგორც არის კრიტიკული აზროვნება, ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, გუნდში მუშაობის უნარი, რომელსაც ის გამოიყენებს კარიერული ზრდისთვის, თვითგანვითარებისა და საზოგადოებაში ეფექტური საქმიანობისთვის.

პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიას და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის მთავარი პრინციპია ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება მეცნიერების წინსვლისა და საზოგადოების განვითარებისათვის, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პესონალის მაღალი სამეცნიერო პროდუქტიულობა და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა უზრუნველყოფს კვლევისა და სწავლების ერთიანობას.

შრომის ბაზრის მოთხოვნებზე პროგრამის უკეთ მორგების მიზნით ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები პოტენციურ დამსაქმებლებთან. პროგრამის კურსდამთავრებულებთან ასევე ჩატარდა გამოკითხვა. დარგში არსებული საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინების მიზნით გამოყენებული იყო საერთაშორისო დარგობრივი აღმწერი QAA Subject Benchmark Statements: Earth Sciences, Environmental Sciences and Environmental Studies (2019) და საერთაშორისო უნივერსიტეტებში არსებული პრაქტიკა. როგორც დამსაქმებლებისგან, ასევე კურსდამთავრებულებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე და დარგში სწავლების საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით

პროგრამის მიზნებში პრიორიტეტულად ჩაითვალა ისეთი კომპეტენციების ხაზგასმა, როგორც არის დარგში არსებული თანამედროვე ცოდნის დაუფლება, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების მულტიდისციპლინურობა და ინტერდისციპლინურობა, პრობლემების იდენტიფიცირების და ეფექტურად გადაჭრის უნარები, საბაზო კვლევითი/ლაბორატორიული/საველე უნარები.

პროგრამის მიზნების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებგვერდისა ([www.iliauni.edu.ge](http://www.iliauni.edu.ge)) და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“-თ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა
- საგანმანათლებლო პროგრამა
- დამსაქმებლის კვლევა
- პროგრამით კმაყოფილების კვლევა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი)
- QAA Subject Benchmark Statemets: Earth Sciences, Environmental Sciences and Environmental Studies (2019)
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კურიკულუმში მოცემულია შედეგების შემდეგი ფორმულირება:

- აქვს ფართო ცოდნა დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ფუნდამენტური კონცეფციების, პარადიგმების, თეორიებისა და პრინციპების შესახებ და საკითხის შესწავლისთვის აუცილებელი ცოდნა ქიმიაში, ფიზიკაში, მათემატიკასა და გარემოსმცოდნეობაში;
- შეუძლია დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებსა და სოციო-ეკონომიკურ და გარემოსდაცვით საკითხებს შორის არსებული კავშირების იდენტიფიცირება, რაც გამოიხატება, მათ შორის, გარემოზე ადამიანის ზეგავლენაში, გეოსაფრთხეების და კატასტროფების გამომწვევი მიზეზების/პროცესების დადგენაში;
- ეფექტურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, გამოთვლით მეთოდებს და პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტებს. მათ შორის: გეო-საინფორმაციო სისტემებს (GIS) და დისტანციური ზონდირების მეთოდებს;
- შეუძლია დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებთან დაკავშირებული კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა და შეფასება მეცნიერული მიდგომების გამოყენებით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- შეუძლია რაოდენობრივი მონაცემების/ინფორმაციის შეგროვება, აღწერა, ანალიზი და ინტერპრეტაცია სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით;
- აქვს ლაბორატორიაში და ველზე მუშაობის საბაზო უნარები, რაც მოიცავს შესაბამისი ხელსაწყოებისა და ტექნიკის გამოყენებასა და უსაფრთხოების წესების დაცვას;
- აქვს სპეციალისტებთან და ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარი თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს გამოყენებით, აკადემიური და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით;
- აქვს ელექტრონული საინფორმაციო ბაზებთან და სხვა საინფორმაციო წყაროებთან (მათ შორის სამეცნიერო ლიტერატურასთან) მუშაობის საბაზო უნარი;
- შეუძლია ეფექტურად იმუშაოს დამოუკიდებლად და გუნდში, საკუთარი ძალებით დაგეგმოს და განახორციელოს თავისი ცოდნის და უნარების გაღრმავების პროცესი.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე საფეხურის აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა (განახლება) ეტაპობრივად განხორციელდა და უზრუნველყოფდა დაინტერესებული მხარეების - პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პროგრამის სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართულობას. პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს ზემოთ ჩამოთვლილი მხარეებისგან მიღებულ უკუკავშირს. სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში გათვალისწინებული იყო გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის კოდექსის (UK Quality Code for Higher Education) მიერ დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებებისთვის შემუშავებული სამიზნე ნიშნულების

დოკუმენტი (Subject Benchmark Statements: Earth Sciences, Environmental Sciences and Environmental Studies) და ასევე საერთაშორისო უნივერსიტეტებში არსებული პრაქტიკა.

სწავლის შედეგები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული, არის მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური. პროგრამის სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა ასახულია პროგრამის რუკაში, რომელიც ადგენს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის სტრუქტურასთან და ინდივიდუალური სასწავლო კომპონენტების კონტრიბუციას მათ განვითარებაში.

განახლებული საბაკალავრო პროგრამის ამოქმედებისთანავე განხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული შეფასების მექანიზმი.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება დაეყრდნობა, როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესს, ასევე, პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას და სამიზნე ნიშნულებს, რაც მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდის შემთხვევაში მონაცემები შეგროვდება სამიზნე ნიშნულების და ინდიკატორების გამოყენებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმით განსაზღვრული პერიოდულობით. რაც შეეხება არაპირდაპირ შეფასებას, ამ მიზნით ჩატარდება რაოდენობრივი გამოკითხვები პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, და ფოკუს ჯგუფი პროგრამის დამსაქმებლებთან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის კონცეფციის და პროგრამის განხორციელების შეფასების წესის მიხედვით. პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემები აისახება საბაკალავრო პროგრამის პერიოდული შიდა თვითშეფასების ანგარიშში.

პროგრამაში სწავლის შედეგების სწორად განსაზღვრისა და შეფასების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელს, მის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კონსულტაციას და დახმარებას უწევს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ამასთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა პროგრამის შეფასების საკითხებზე ტრენინგ-მოდული, რომელიც ეყრდნობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სფეროში.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა და სწავლის შედეგების რუკა
- სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და გეგმა
- დამსაქმებლების კვლევა -
- QAA Subject Benchmarks: Earth Sciences, Environmental Sciences and Environmental Studies (2019)
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- პროგრამით კმაყოფილების კვლევა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი
- კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუქციები
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო

|  |
|--|
| <p>გეგმა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საერთაშორისო ანალოგების სია</li> <li>○ ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები</li> </ul>   |
| <p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>-</p>   |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>-</p>  |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>-</p>   |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>-</p>   |
| <p><b>შეფასება</b></p> <p>ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul> |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი   | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓                            |                                       |   |                                     |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

|   |
|---|
| <p><b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b></p>  |
| <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>   |
| <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესს. პროგრამაზე “დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)” მიღება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. კერძოდ, პროგრამაზე ჩაბარების მიზნით აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ეროვნული გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მეთემატიკა/ისტორიასა და უცხოურ ენაში.</p> <p>ინფორმაცია პროგრამის მიღების პირობების შესახებ თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „მიღება“ და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე.</p> <p>პროგრამის პოპულარიზაციის და აბიტურიენტებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის PR-ის სამსახურის მხარდაჭერით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი ორგანიზებას უწევს აბიტურიენტებთან საინფორმაციო შეხვედრებს, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. ამავე მიზნით უნივერსიტეტი ატარებს ონლაინ „ღია კარის დღეს“.</p> |
| <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საგანმანათლებლო პროგრამა</li> <li>○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი</li> <li>○ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი</li> </ul>   |
| <p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>-</p>  |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>-</p>   |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>-</p>  |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>-</p>  |

## შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაწესების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და პროცედურების დაცვით. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლებშიც დადგენილია დეტალური მოთხოვნები პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის “დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)” შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურა შესაძლებელს ხდის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას პროგრამაზე მიღების წინაპირობების გათვალისწინებით. კურიკულუმი შედგება სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი (მეთოდოლოგიური ბლოკის) და არჩევითი სასწავლო კომპონენტებისგან, რომლებშიც ასახულია დარგის თანამედროვე ტენდენციები და გამოყენებულია უახლესი სასწავლო მასალები და რესურსები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დარგის სწავლების უახლესი ტენდენციების შესაბამისად, პროგრამაში გათვალისწინებულია კურსები, რომელიც ორიენტირებულია გეოსაინფორმაციო სისტემებთან მუშაობასა და მონაცემთა დამუშავებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებაზე. პროგრამას ახლავს კომპეტენციათა რუკა და სემესტრული განაწილების გეგმა. პროგრამა ხორციელდება როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი პროგრამის ფორმატში.

პროგრამის სტრუქტურა (240 კრედიტი)

- თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი
- დამატებითი სპეციალობა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი

ზოგადი მოდული:

- შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I და შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II - 12 კრედიტი
- აკადემიური მუშაობის ტექნიკები - 6 კრედიტი

- ინგლისური ენის კურსები - 24 კრედიტი
  - შესავალი კურსები - 18 კრედიტი (ფიზიკის ბლოკი, ცოცხალი სამყაროს შემსწავლელი მეცნიერებების ბლოკი, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ბლოკი)
- ძირითადი სწავლის სფერო:
- ძირითადი სპეციალობის ფარგლებში სტუდენტმა სავალდებულოა შეისწავლოს:
- სასწავლო პროგრამის სავალდებულო კურსების ბლოკიდან - 96 კრედიტი
  - სასწავლო პროგრამის ტექნოლოგიური ბლოკიდან - (მინიმუმ) 12 კრედიტი
  - არჩევითი კურსები - 12 კრედიტი

დამატებითი პროგრამა /თავისუფალი კომპონენტი (60 კრედიტი). პროგრამის შინაარსი ეფუძნება დარგში არსებულ უახლეს ცოდნასა და მიღწევებს და ითვალისწინებს საერთაშორისო დაგრობრივი მახასიათებლების რეკომენდაციებს (QAA Subject Benchmark Statements: Earth Sciences, Environmental Sciences and Environmental Studies), ასევე დამსაქმებლების, სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგებს. პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, მისი სტრუქტურა და მოცულობა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამის საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სტრუქტურა და სარეკომენდაციო სემესტრული გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალი სასწავლო,

პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრული და ლოგიკური, საჭიროების შემთხვევაში კომპონენტებში გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები. პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მიზნები, შედეგები, და ა.შ.) განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე: [www.iliauni.edu.ge](http://www.iliauni.edu.ge) დაინტერესებული მხარეებისა და პოტენციური სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსს „საბაკალავრო ნაშრომი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს მხოლოდ სასწავლო კურსი „აკადემიური მუშაობის ტექნიკები“. აუცილებელია დაშვების წინაპირობებში დაემატოს სასწავლო კურსები ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსებიდან.

სემესტრულ სარეკომენდაციო გეგმაში VII და VIII სემესტრის ჩანაწერებში წერია: კურსი/ კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტიანი. ასეთი ჩანაწერების არსებობა ბლოკავს ორი 3 კრედიტიანი სასწავლო კურსის გავლას არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან. ესენია: ფილაქანთა ტექტონიკა და სეისმოლოგიური დაკვირვების პრაქტიკული კურსი, რადგან მათ აქვთ დაშვების წინაპირობა (სასწავლო კურსი „ტექტონიკა და სეისმოლოგია“), რომელიც ისწავლება VI სემესტრში. აუცილებელია ჩანაწერია შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს - კურსი/ კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტი.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- რეკომენდებული სასწავლო სემესტრული გეგმა
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები -
- QAA Subject Benchmark Statements: Earth Sciences, Environmental Sciences and Environmental Studies



|   |
|---|
| <ul style="list-style-type: none"> <li>○ დამსაქმებლების ფოკუს-ჯგუფები;</li> <li>○ სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები;</li> <li>○ არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”</li> <li>○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი <a href="http://iliauni.edu.ge">iliauni.edu.ge</a></li> <li>○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი</li> <li>○ ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.</li> </ul> |
| <p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სასწავლო კურსს „საბაკალავრო ნაშრომი“ დაემატოს დაშვების წინაპირობები, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან;</li> <li>○ შეიცვალოს სემესტრულ სარეკომენდაციო გეგმის VII და VIII სემესტრის ჩანაწერი: კურსი/ კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტიანი. დაზუსტდეს შემდეგი რედაქციით: კურსი/ კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტი.</li> </ul>  |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>-</p>   |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>-</p>  |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>-</p>  |
| <p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u></li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>   |

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული კურსის სილაბუსში მითითებულია სწავლების მეთოდები და აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტებით და კრიტერიუმებით ხდება კურსის მიზნებით განსაზღვრული სწავლის თითოეული შედეგის შეფასება. კურსების სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევადობას.

კურსების უმრავლესობაში თეორიული ცოდნის ტრანსფერთან ერთად ხდება პრაქტიკული/საველე/ლაბორატორიული უნარების განვითარება. აგრეთვე, ბაზისური კვლევითი უნარების და ჯგუფური მუშაობის უნარის განვითარება, რაც მიიღწევა ჯგუფურ პროექტებში ჩართულობით. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია მისი შინაარსის, მისაღწევი შედეგებისა და დატვირთვის გათვალისწინებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

კურსების შინაარსი ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს: კერძოდ, თითოეული კურსის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ეყრდნობა დარგში არსებულ უახლეს კვლევებსა და წყაროებს.

სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ან რიდერების სახით არგუსზე ან elearning-ზე. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე (ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Analytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა) ხელმისაწვდომობას, მათ შორის, არასაუნივერსიტეტო ლოკაციებიდან (ნებისმიერი კომპიუტერიდან ელექტრონული ანგარიშის მეშვეობით).

კურსების ეფექტურობის შეფასების მიზნით, ყოველსემესტრულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომელიც ითვალისწინებს კურსის ისეთი ასპექტების შეფასებას, როგორცაა კურსის შინაარსი, მოცულობა, სტუდენტთა დატვირთვა და შეფასების სისტემა. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომი ხდება კურსის ლექტორისა და პროგრამის ხელმძღვანელისთვის კომპონენტის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

თუმცა, სასწავლო კურსების მიმართ გვაქვს გარკვეული შენიშვნები:

სასწავლო კურსში „მინერალოგიისა და გეოქიმიის საფუძვლები“ შეფასებაში წერია პრაქტიკული დავალების შესრულება (მიკროსკოპით) - მინერალებზე დაკვირვება-დიაგნოსტიკა. სასწავლო კურსის გეგმაში პრაქტიკულ მეცადინეობას დათმობილი აქვს სულ 4 საათი, რაც პრაქტიკულ უნარების გამომუშავებისთვის მცირე დროა, ამიტომ საჭიროა პრაქტიკული საათების გაზრდა.

სასწავლო კურსში „სტრატეგრაფიისა და გეოქრონოლოგიის საფუძვლები“ საკონტაქტო საათებია ლექცია/სემინარი და საველე სამუშაო. აღნიშნული სასწავლო კურსის შედეგში წერია: ხელმძღვანელის მითითების შესაბამისად შეადგინოს ლითო- და ბიოსტრატეგრაფიული ჭრილები, მოახდინოს მათი კორელაცია და ააგოს გეოლოგიური რუკები. ამ შედეგზე სტუდენტი ვერ გავა საველე სამუშაოზე, თუ მას არ აქვს პრაქტიკული ამოცანები შესრულებული, ამიტომ შინაარსიდან გამომდინარე სრულიად საკმარისი იქნება საველე სამუშაოების საათები დაეთმოს პრაქტიკული სამუშაოების/ამოცანების შესრულებას. სასწავლო კურსში გაიწეროს პრაქტიკული სამუშაოების თემატიკა. აღნიშნულ სასწავლო კურსში სალექციო თემატიკაში საკმაოდ დრო ეთმობა სტრატეგრაფიული კვლევებიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეთოდს -

ბიოსტრატეგრაფიულ მეთოდს. აღნიშნულ მეთოდში სტუდენტს გარკვევა გაუჭირდება თუ არ აქვს ცოდნა ისტორიული გეოლოგიიდან და პალეონტოლოგიიდან. სტრატეგრაფიისა და გეოქრონოლოგიის სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობაა „დედამიწა - შესავალი გეოლოგიაში II” სადაც აღნიშნულ საკითხებს ეთმობა გარკვეული დრო, მაგრამ ეს ამკარად არასაკმარისია, ამიტომ სასწავლო კურსში „დედამიწა - შესავალი გეოლოგიაში II” დაემატოს საკითხები ისტორიული გეოლოგიის და განსაკუთრებით პალეონტოლოგიის მიმართულებით, მითუმეტეს ეს საკითხები კარგადაა განხილული დამატებით ლიტერატურაში მითითებულ სახელმძღვანელოში: გ. ღონღაძე, მ. ახალკაციშვილი „გეოლოგიის საფუძვლები“, 2018 წ. აღნიშნული სახელმძღვანელო დამატებითიდან გადავიდეს ძირითად ლიტერატურაში.

სასწავლო კურსში „დედამიწის ქერქის ქანები“, რომლის მიზანია დედამიწის ამგები ყველა ტიპის ქანის (მაგური, დანალექი და მეტამორფული) შესწავლა, ასევე ქანების იდენტიფიცირების უნარის განვითარება როგორც ვიზუალურად, ასევე მიკროსკოპის გამოყენებით. აღნიშნული უნარის გამოსამუშავებლად ლაბორატორიული სამუშაოებისთვის გამოყოფილი საათები არაა საკმარისი ქანების მინიმალური რაოდენობის შესწავლისათვისაც კი. ამიტომ გაიზარდოს ლაბორატორიული საათების რაოდენობა, თუნდაც სალექციო საათების ხარჯზე. ძირითადი ლიტერატურა სრულად არ ფარავს სალექციო და ლაბორატორიულ თემატიკას. ბ. თუთბერიძის სახელმძღვანელოში არაა საუბარი მეტამორფულ და დანალექ ქანებზე, ხოლო გ. ღონღაძის და მ. ახალკაციშვილის სახელმძღვანელოში ძალიან მწირი მასალაა მეტამორფული ქანების შესახებ. არასწორად მიგვაჩნია შუალედური წერის ჩატარება მე-14 კვირას, დასკვნითი გამოცდის წინ. შესასწორებელია შეფასების სისტემა.

საგანმანათლებლო პროგრამაში რიგ სასწავლო კურსებში (დედამიწა-შესავალი გეოლოგიაში I, დედამიწა-შესავალი გეოლოგიაში II, დედამიწის ქერქის ქანები, სტრუქტურული გეოლოგია, სტრატეგრაფიისა და გეოქრონოლოგიის საფუძვლები, გარემოსდაცვითი კვლევები, სამიებო და გამოყენებითი გეოფიზიკის საფუძვლები) ინტეგრირებულია სავლე პრაქტიკა, რაც მისასაღმებელია, რადგან დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები დაკვირვებითი მეცნიერებებია და პრაქტიკული უნარების გამომუშავება სწორედ სავლე პირობებში ხდება. თუმცა თითოეულ სასწავლო კურსში გამოყოფილი საათები არასაკმარისია ამ უნარების გამოსამუშავებლად. ამიტომ საჭიროა საათების გონივრული რაოდენობის დამატება, თუნდაც დამოუკიდებელი მეცადინეობის საათების ხარჯზე.

პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამა ინგლისური ენის გარდა სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა ენების შესწავლას, თუმცა კურსკულუმში ამის შესახებ არაფერი წერია.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მაგრამ მათი ნაწილი არ იძლევა დაკვირვების, გაზომვის შესაძლებლობას, აღწერილია სხვადასხვა დროში (მაგ. სტუდენტს აქვს ფართო ცოდნა ..... იცის ..... აცნობიერებს ..... იცნობს ..... შეუძლია ..... შეძლებს ..... შეეძლება). საჭიროა გასწორდეს ჩამოთვლილი შეუსაბამობები. ზოგიერთი სასწავლო კურსის („ლიტერატურული მეხსიერება“, „ბავშვთა დაცვის პოლიტიკა“, „გერმანულენოვანი ლიტერატურა“, „აკადემიური მუშაობის ტექნიკები“) სწავლის შედეგები გასაწერია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად;

პროგრამის და ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგალითად: ჰიდროგეოლოგიისა და საიჟინო გეოლოგიის საფუძვლები; სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიის საფუძვლები და ა. შ.) შედეგების გაწერისას დიდი ყურადღება ეთმობა უსაფრთხოების წესების დაცვას, მაგრამ აღნიშნულ სასწავლო კურსებში ვერსად ვერ ვნახეთ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სწავლის შედეგების მიღწევის რუკა
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები -
- ბიბლიოთეკის ვებგვერდი
- საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ბიბლიოთეკები, ჟურნალები და სხვ.
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”
- უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/ კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი
- სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტები
- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

### რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსებში „ლიტერატურული მეხსიერება“, „ბავშვთა დაცვის პოლიტიკა“, „გერმანულენოვანი ლიტერატურა“, „აკადემიური მუშაობის ტექნიკები“ სწავლის შედეგები გაიწეროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად;
- სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა;
- სასწავლო კურსში „სტრატეგიათა და გეოქრონოლოგიის საფუძვლები“ სავსე სამუშაო შეიცვალოს პრაქტიკულით და გაიწეროს მისი თემატიკა;
- იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც ინტეგრირებულია პრაქტიკები, გაიზარდოს პრაქტიკის საათების რაოდენობა;
- სასწავლო კურსის სილაბუსებში აღმოიფხვრას ტექნიკური ხასიათის შეცდომები და შეივსოს ინფორმაცია სრულყოფილად.

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამაში ჩანდეს ინგლისური ენის გარდა სტუდენტებისათვის სხვა ენების შეთავაზების შესაძლებლობა;
- სასურველია გასწორდეს სასწავლო კურსების დედამიწა-შესავალი გეოლოგიაში I და დედამიწა-შესავალი გეოლოგიაში II სალექციო თემატიკების შინაარსი;
- სასურველია სასწავლო კურსებში „მინერალოგიისა და გეოქიმიის საფუძვლები“ და „დედამიწის ქერქის ქანები“ გაიზარდოს პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების საათების რაოდენობა;
- სასურველია, იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც ტარდება ლაბორატორიული სამუშაოები და პრაქტიკები ცალკე საკითხად გაიწეროს უსაფრთხოების წესები და

|   |
|---|
| ნორმები, საწარმოო სანიტარიის, უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები.   |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):   |
| -   |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)   |
| -   |
| <p><b>შეფასება</b></p> <p>ი გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u></p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

|  |
|--|
| <p><b>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</b></p>  |
| <p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>  |
| <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის მთავარი ამოცანაა იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, რაც აუცილებელია დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სხვადასხვა დისციპლინაში თეორიული ცოდნის გამოყენებისთვის პრაქტიკაში. შესაბამისად, კურსების ნაწილი, განსაკუთრებით სწავლების დამამთავრებელ სემესტრებში, ითვალისწინებს კვლევითი ხასიათის პროექტების შესრულებას, სამეცნიერო ლიტერატურასთან დამოუკიდებელ მუშაობას და პროექტის ანგარიშის წარდგენას ზეპირად ან/და წერილობით.</p> <p>სტუდენტები დამამთავრებელ სემესტრში ასრულებენ საბაკალავრო ნაშრომს და ჩაერთვებიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის“, ასევე „კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს კვლევის ცენტრის“ კვლევებში და პროგრამაში ჩართული პერსონალის ხელმძღვანელობით მიმდინარე პროექტებში. სტუდენტების საბაზო კვლევითი უნარების განვითარების მიზნით გამოყენებული იქნება ასევე „გარემოს კვლევების კომპლექსური ლაბორატორია“ და უნივერსიტეტის ტექნოლოგიების კორპუსში თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიები საინჟინრო გეოლოგიის და ჰიდროგეოლოგიის მიმართულებით სწავლებისთვის. აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია დეტალური ინსტრუქცია ლაბორატორიული</p> |

უსაფრთხოების წესების შესახებ, რომელსაც ეცნობა სტუდენტი ლაბორატორიული სამუშაოს დაწყებამდე.

კურსების ფარგლებში გათვალისწინებულია სავლე გასვლები, რომელთა ორგანიზებას, ტრანსპორტს და საჭიროების შემთხვევაში ბაზებზე განთავსებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი. ლაბორატორიული უნარების განვითარება ხდება კურსებში ინტეგრირებული პრაქტიკული სამუშაოების დროს.

თვითშეფასებაში მითითებულია, რომ უნივერსიტეტს აქვს კეთილმოწყობილი სავლე და სასწავლო-კვლევითი ბაზები ახალქალაქში, სტეფანწმინდაში, დედოფლისწყაროსა და გრიგოლეთში, მაგრამ სასწავლო კურსებში მითითებული სავლე პრაქტიკები ტარდება მხოლოდ თბილისში, აღნიშნულიდან გამომდინარე არ ცანს ამ ბაზების ფუნქცია პროგრამასთან მიმართებაში.

პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

- o ბრიჯვითების სახელმწიფო უნივერსიტეტი - ამერიკის შეერთებული შტატები (2021 წ.) 5 წლით;
- o მრავალპროფილიანი საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგი“ (2020 წ.), 7 წლით;
- o შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი“ (2020 წ.), 7 წლით;
- o სსიპ „გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი“ (2018 წ.), უვადო.

მიუხედავად იმისა, რომ მემორანდუმები, გაფორმებული შპს „გამა კონსალტინგთან“ და „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული სისტემების საკონსულტაციო ცენტრ გეოგრაფიკთან“ ითვალისწინებს პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების გავლის შესაძლებლობას, აუცილებელია სტუდენტთა რაოდენობის და ხანგრძლივობის მითითება, რათა ნათლად გამოჩნდეს, თუ რისი შესაძლებლობა აქვს მიმღებ მხარეს. მითუმეტეს, რომ ერთ-ერთ სასწავლო კურსში (გარემოსდაცვითი კვლევები) დამხმარე რესურსებში მითითებულია მრავალპროფილიანი საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგის“ აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორია. მემორანდუმი ბრიჯვითების სახელმწიფო უნივერსიტეტთან ითვალისწინებს ბაკალავრიატის სტუდენტების სემესტრულ გაცვლას ორ უნივერსიტეტს შორის.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o საგანამანათლებლო პროგრამა
- o პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები და საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია
- o ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტის დებულება; ლაბორატორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია
- o „დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი“;
- o „გარემოს კომპლექსური კვლევის“ სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია“;
- o „კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს კვლევის ცენტრი“
- o უნივერსიტეტის კეთილმოწყობილი სავლე და სასწავლო-კვლევითი ბაზები ახალქალაქში, სტეფანწმინდაში, დედოფლისწყაროსა და გრიგოლეთში;

#### **რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველი იქნება დამსაქმებლებთან/პარტნიორებთან ისეთი მემორანდუმების და შეთანხმებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას და ჩასატარებელი სამუშაოების ხანგძლივობას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საბაკალავრო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის შერჩეულია რელევანტური სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან, მიზნებთან და შესაძლებელს ხდის კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლებისას გამოიყენება, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული სახის სწავლება, და ორიენტირებულია თეორიული ცოდნის პარალელურად შესძინოს სტუდენტს პრაქტიკული/ლაბორატორიული თუ სავლე უნარ-ჩვევები, ასევე, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების უნარები. სწავლების დროს გამოიყენება: ლექციები და სემინარები; პრაქტიკული სამუშაო, მათ შორის ველზე და ლაბორატორიაში; პროექტზე მუშაობა ინდივიდუალურად და ჯგუფებში; ანალიზი და სინთეზი და ა.შ.

სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. ასეთი სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ

საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლებისა თუ შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს. ამავე მიზნებისთვის გათვალისწინებულია აგრეთვე, ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც წინასწარ თანხმდება სტუდენტებთან საოფისე საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე “არგუსის” ან კორპორატიული მეილის საშუალებით. სტუდენტებს აგრეთვე, აქვთ შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ტუტორთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე და ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში მიიღონ კონსულტაცია მათთვის საჭირო კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, ან მიიღონ უკუკავშირი წერით ნაშრომთან დაკავშირებით. ამგვარი ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრების ეფექტურობის შეფასება გათვალისწინებულია, როგორც უნივერსიტეტში სტუდენტთა სერვისების შეფასების ფარგლებში, აგრეთვე თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ერთვება უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა“. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აგრეთვე, შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაშიც.

სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას, რაც დასტურდება დაინტერესებულ პირთა გამოკითხვების ანალიზით.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა
  - პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
  - სასწავლო კურსების შეფასების ინსტრუმენტები
  - არჩევანის უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“
  - აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებგვერდი
  - საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
  - ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-



## შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დასტურდება, რომ უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს; სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები.

ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სკალით. პროგრამა ითვალისწინებს 5 სახის დადებით და 2 სახის უარყოფით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
- (FX) ვერ ჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

თითოთულ სასწავლო კურსში სტუდენტი ფასდება მინიმუმ სამი კომპონენტით (შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება). შუალედური შეფასება სტუდენტის ცოდნის შეფასებაა სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და ლაბორატორიული/სავლე მეცადინეობისთვის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდის განმავლობაში. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის

განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი რომელიც პროგრამაში საკმაოდ მრავალფეროვანია.

სილაბუსებში განსაზღვრულია ის შეფასების მეთოდები, რომლებიც გამოიყენება პროგრამის კომპონენტის/კურსის ფარგლებში. სწავლის შედეგების გასაზომად ცალკეული კურსის ფარგლებში შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს კურსის მიზნებითა და სწავლის შედეგებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას.

კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსის” საშუალებით.

უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს საპრეტენზიო კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების ინიცირების მიზნით.

სასწავლო კურსის სილაბუსებში სტუდენტის მიერ FX-ის მიღების შემთხვევაში არაა აღწერილი დამატებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, ასეთი ჩანაწერი არ გვხვდება პროგრამის კურიკულუმშიც. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს ამ ვადას მინისტრის # 3 ბრძანების შესაბამისად.

კომპონენტებით გაწერილი აქტივობების მინიმალური დადებითი ქულების ჯამი ბევრ სასწავლო კურსში მერყეობს ფართო დიაპაზონში და არ გადის 41 ქულამდე, რაც საჭიროა დამატებით გამოცდაზე გასასვლელად (FX).

რიგ სასწავლო კურსებში თითოეული აქტივობის შეფასების ქულების ხვედრითი წონა იწვევს შეკითხვებს, როდესაც მაგალითად სასწავლო კურსში „გეომორფოლოგიისა და ჰიდროლოგიის საფუძვლები“ პირველ და მეორე შუალედურ შეფასებებს ეთმობა 30 – 30 ქულა, ხოლო დასკვნით გამოცდას კი მხოლოდ 25, სხვა სასწავლო კურსებში (მაგალითად „მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის საფუძვლები“, „დაპროგრამება პითონში“, „ფილაქანთა ტექტონიკა“, „გეოსივრცითი ანალიზის კომპიუტერული მეთოდები“ და ა. შ.) კოლოქვიუმს ან პრეზენტაციას აქვს 30 - 30 ქულა და დასკვნით გამოცდას 30 ქულა.

რიგ სასწავლო კურსებში (მაგალითად „მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის საფუძვლები“, „მინერალოგიისა და გეოქიმიის საფუძვლები“, „დედამიწის ქერქის ქანები“, „ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო-გეოლოგიის საფუძვლები“, „სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიის საფუძვლები“, „ტექტონიკა და სეისმოლოგია“, „დაპროგრამება პითონში“ და ა. შ.) შეფასების კრიტერიუმები არაა დეტალურად ჩაშლილი და ზოგიერთ შემთხვევაში არაა გაწერილი 8, 10 და 15 ქულიანი კრიტერიუმები.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესორულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“
- სასწავლო კურსების შეფასების ინსტრუმენტები
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების განვითარების ცენტრის (TSDC) სამოქმედო გეგმა.

|   |
|---|
| <ul style="list-style-type: none"> <li>○ ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.</li> </ul>   |
| <b>რეკომენდაციები:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები უფრო დეტალიზებული და გამჭვირვალე გახდეს.</li> </ul>  |
| <b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ გასწორდეს სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასების სისტემაში მიმდინარე შეფასების და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი ქულების ჯამი, რაც საჭირო იქნება სტუდენტის დამატებით გამოცდაზე გასასვლელად (FX).</li> <li>○ დაიხვეწოს სილაბუსებში გაწერილი მიმდინარე შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები;</li> <li>○ სასურველია პროგრამის სილაბუსებში აისახოს რა ვადაში შეუძლია სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლა FX-ის მიღების შემთხვევაში;</li> <li>○ სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსებში თითოეული აქტივობის შეფასების ქულების ხვედრითი წონა.</li> </ul> |
| <b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b> <p>-</p>   |
| <b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b> <p>-</p>   |
| <b>შეფასება</b> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u></p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>   |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი             | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების მეთოდოლოგია |                              | ✓                                     |   |                                     |

|   |  |  |  |  |
|---|--|--|--|--|
| და ორგანიზება,<br>პროგრამის<br>ათვისების<br>შეფასების<br>ადეკვატურობა |  |  |  |  |
|---|--|--|--|--|

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტები უნივერსიტეტში მოხვედრის საწყისი ეტაპიდანვე, საინფორმაციო შეხვედრების მეშვეობით, ეცნობიან სასწავლო გარემოს სპეციფიკასა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობებს. სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების პროცესში ისინი დეტალურად იღებენ ინფორმაციას სწავლის პირობებისა და სასწავლო პროცესში მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებად შეხვდნენ პროგრამის ხელმძღვანელს და მიიღონ მისგან შესაბამისი მხარდაჭერა. პროგრამასა და მის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციებს კი უზრუნველყოფენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტები და პროგრამის ხელმძღვანელი. აღნიშნული პრაქტიკა საკმაოდ პოზიტიურია, თუმცა ვთვლით რომ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებით განპირობებული სტუდენტთა დისტანცირება სასწავლო გარემოდან ზრდის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ინიციატივით საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების აუცილებლობას.

სტუდენტები არა მხოლოდ საწყის, არამედ მთელი საუნივერსიტეტო გამოცდილების განმავლობაში იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გაუმჯობესებისათვის საჭირო ინფორმაციას და მხარდაჭერას კარიერული განვითარების უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური სერვის ცენტრი, რომლის უშუალო პრეროგატივასაც წარმოადგენს სტუდენტთა ინფორმირება უნივერსიტეტსა და ქვეყნის მასშტაბით გამართული კონფერენციებისა და სხვა ტიპის ღონისძიებების შესახებ. იგი ასევე უზრუნველყოფს სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაწესებული სტიპენდიების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობას და მათი ინიციატივების მხარდაჭერას. სწორედ ეს დეპარტამენტი ახდენს სტუდენტებისათვის ღია ლექციების შეთავაზებას და უნივერსიტეტის კულტურული და სპორტული ცხოვრების ხელშეწყობას. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში უნივერსიტეტში მოქმედებს ცხელი ხაზის მომსახურება, რაც სტუდენტებს სასწავლო პროცესში წარმოქმნილი დაბრკოლებების დროულად გადაჭრის შესაძლებლობას აძლევს. სტუდენტები ადასტურებენ სტუდენტური სერვის ცენტრისა და ცხელი ხაზის ფუნქციონირების ეფექტიანობას.

სასწავლო პროცესის მართვა-მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამული სისტემა „არგუსი“. სწორედ აღნიშნული სისტემის მეშვეობით

ეცნობიან სტუდენტები მათთვის შეთავაზებულ სასწავლო კურსებს, ელექტრონულ მასალებსა და სილაბუსებს. იღებენ ინფორმაციას მათი შუალედური და საბოლოო შეფასების შესახებ და სისტემის მეშვეობითვე ასაჩივრებენ მას. „არგუსი“ ასევე წარმოადგენს აკადემიურ პერსონალს, სასწავლო პროცესში ჩართულ სხვა პირებსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაციის საშუალებას. სტუდენტები სწორედ ამ სისტემის მეშვეობით იღებენ მონაწილეობას პროგრამის მიერ უზრუნველყოფილ გამოკითხვებში და საჭირო ინფორმაციის მისაღებად ამყარებენ კონტაქტს სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელთან. „არგუსის“ მეშვეობით პერიოდულად ტარდება სერვისების კვლევა, რომელიც უნივერსიტეტს სტუდენტური მომსახურებების მუდმივად დახვეწის საშუალებას აძლევს.

სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი უზრუნველყოფს თანამშრომლობას პოტენციურ დამსაქმებლებთან და ქმნის და აახლებს დამსაქმებელთა ბაზას, რის საფუძველზეც ხდება წელიწადში 2-ჯერ საუნივერსიტეტო დასაქმების ფორუმების ორგანიზება და სტუდენტთა სისტემატიური ინფორმირება ვაკანსიებთან დაკავშირებით. სტუდენტები მსგავს შემოთავაზებებს იღებენ ელექტრონული ფოსტის ან „არგუსის“ მეშვეობით.

უნივერსიტეტში მოქმედებს უნივერსიტეტის განვითარების სამსახური, რომლის მიზანია მხარი დაუჭიროს სტუდენტების ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში და უზრუნველყოს მათ ინფორმირება საგრანტო და სამეცნიერო კონკურსების შესახებ. პროგრამა მის სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის“, ასევე „კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს კვლევის ცენტრის“ კვლევებსა თუ პროგრამებში. თუმცა, როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გაირკვა მათი ნაწილისათვის არ არის ცნობილი ამ შესაძლებლობის შესახებ. რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ინიციატივით საინფორმაციო შეხვედრების უფრო აქტიურად ჩატარების აუცილებლობას.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს ისეთ პროგრამებთან, როგორცაა Erasmus+ და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობის შექმნას. საგარეო ურთიერთობების სამსახური მართავს რეგულარულ საინფორმაციო შეხვედრებს და სტუდენტებს უწევს შესაბამის მხარდაჭერას როგორც შესარჩევ ეტაპზე, ასევე მობილობის პროცესში წარმოქმნილ დაბრკოლებებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა რომ, უნივერსიტეტის მასშტაბით აღნიშნული მექანიზმი საკმაოდ ეფექტიანად მოქმედებს, როგორც სტუდენტებთან გასაუბრებამ ცხადყო, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების პროგრამა ფაქტობრივად ვერ ახერხებს მისი სტუდენტებისათვის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფას. ამიტომ, ვთვლით რომ ამ მიმართულებით პროგრამის ძალისხმევა უნდა გაიზარდოს.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი, სადაც თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს სათანადო დახმარება ფსიქოსოციალურ პრობლემებთან გამკლავების პროცესში.

სწავლებაში ჩართული აკადემიური პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა საკონსულტაციო საათები. სტუდენტები ადასტურებენ, რომ საჭირო შემთხვევაში ინდივიდუალურ საკონსულტაციო მომსახურებას შეუფერხებლად იღებენ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებ-გვერდი
- საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გაფორმებული

|   |
|---|
| <p>ხელშეკრულებები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი</li> <li>○ არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”</li> <li>○ შესაბამისი საგრანტო პროექტების ხელშეკრულებები</li> <li>○ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება</li> <li>○ სტუდენტური სერვისების შეფასების ანგარიში</li> <li>○ უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში</li> <li>○ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამშრომლების პირადი საქმეები</li> <li>○ აკადემიური პერსონალის საქმიანობის ვებ-პორტალი</li> <li>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან</li> <li>○ ვიზუალური დათვალიერება საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის</li> </ul> |
| <p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საჭიროა გაიზარდოს პროგრამის აქტივობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და მისი სტუდენტებისათვის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობა შეიქმნას.</li> </ul>   |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სასურველია უფრო აქტიურად ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან და გაიზარდოს მათი ინფორმირებულობა პროგრამის მიერ შეთავაზებული შესაძლებლობების შესახებ.</li> </ul>  |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი არსებობა.</li> </ul>   |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>-</p>  |
| <p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>  |

|  |
|--|
| <b>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</b>  |
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.  |
| <b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b>   |
| -  |
| <b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b>   |
| -  |
| <b>რეკომენდაციები:</b>   |
| -  |
| <b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>  |
| -  |
| <b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>   |
| -  |
| <b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>   |
| -  |
| <b>შეფასება</b>  |
| <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი   | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓                            |                                       |   |                                     |

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

#### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს საგანმანათლებლო პროგრამით შეთავაზებული შესაბამისი კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დასტურდება მათი კვალიფიკაციით და გამოქვეყნებული შრომებით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აღჭურვილია უახლესი ცოდნით და აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში, მონაწილეობენ სამეცნიერო ღონისძიებებში, ერთობლივ საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში. აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევები ციტირების მაღალი ინდექსით ხასიათდება.

აკადემიური პერსონალის აღნიშნული ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამაში უზრუნველყოფს თანამედროვე სასწავლო გარემოს, კვლევაზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის განხორციელებას. სასწავლო კურსების სემესტრული გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები დატვირთვასთან დაკავშირებით. შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში მათი დატვირთვის გადანაწილებისას დაცულია ბალანსი ზემოაღნიშნული ვალდებულებებისა და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობის გათვალისწინებით. სწავლების გარდა, სწავლებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი სტუდენტებს უწევს კონსულტაციას, რაც ასახულია სილაბუსებში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები წარმოადგენენ დარგში მოწინავე მეცნიერებს, რომლებიც კვლევითი და აკადემიური საქმიანობის გარდა, საექსპერტო მომსახურებას ეწევიან სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით, ორგანიზებას უწევს პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესს. ხელმძღვანელი ასევე ჩართულია პროგრამის განხორციელების შეფასებაში პროგრამის განხორციელების შიდა შეფასების მექანიზმების გამოყენებით.



პროგრამის განხორციელების შიდა თვითშეფასების ინსტრუმენტების საშუალებით შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით პროგრამის ხელმძღვანელს შემუშავებული აქვს პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიში და წარუდგენილი აქვს ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად. აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭო ღებულობს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. პროგრამის შემუშავების, მისი განხორციელების შეფასებისა და შესაბამისი ცვლილებების შემუშავების პროცესში ჩართულები არიან როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი.

უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალს და მოწვეულ ლექტორებს შორის არსებული შეფარდება (8/8), ასევე აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალს, მოწვეულ ლექტორებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა (16/106) დაბალანსებულია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის განხორციელებაში, გარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალისა, ჩართულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი და კოორდინატორი რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის სწორად და ეფექტურად წარმართვას.

პროგრამის განხორციელებასა და ადმინისტრირებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი პირადი საქმეებით. უნივერსიტეტში ლაბორატორიული უსაფრთხოების კონტროლს ახორციელებს ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს რეკრუტირებულ პერსონალს შესაბამისი სახის ტრენინგებს.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია
- აკადემიური პერსონალის პროგრამაში დატვირთვის სქემა
- რეკომენდებული სასწავლო სემესტრული გეგმა
- ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტის დებულება; ლაბორატორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები
- გამოცხადებული კონკურსები
- სერვისებით კმაყოფილების კვლევა
- პროგრამის ხელმძღვანელების საქმიანობის წესი
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.

|  |
|--|
| რეკომენდაციები:  |
| -  |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის   |
| -  |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):  |
| -  |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)  |
| -  |
| შეფასება   |
| <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

#### 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. კერძოდ, აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში - სწავლების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოყენებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისა და დაწინაურებისათვის.

უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრები, მათ შორის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი“ და „კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს კვლევის ცენტრი“ წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო საგრანტო პროექტებში; ევროპის და აშშ-ს

წამყვან უნივერსიტეტებთან კოლაბორაციაში ახორციელებენ სამეცნიერო პროექტებს, მათ შორის, სხვადასხვა საფეხურის სტუდენტების ჩართულობით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში არსებული პერსონალის მართვის სტრატეგიული მიზნები ითვალისწინებს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. კერძოდ, გათვალისწინებულია სისტემურად, რეგულარულად და ეფექტურად თანამშრომელთა საჭიროებების შესაბამისად მოქმედი ტრენინგის სისტემის და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნა უნივერსიტეტის ყველა ტიპის პერსონალისათვის. ამ მიზნებისთვის უნივერსიტეტში შექმნილია მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულების შეთავაზებას. აღნიშნული ცენტრი დაარსდა ERASMUS + პროექტის PRINTeL მხარდაჭერით. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მკვლევრების კვლევით საქმიანობას მხარდაჭერას უწევს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები, სამეცნიერო კვლევების კოორდინაციისა და განვითარების სამსახურები. სამსახურები თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევენ და მხარს უჭერენ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში. სამსახურების საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით. სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური შეიმუშავებს და გეგმავს სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერაზე ორიენტირებულ უნივერსიტეტის შიდა საქმიანობებს, მათ შორის, შიდა დაფინანსების საუნივერსიტეტო მექანიზმებს. სამსახური მართავს და პერიოდულად აახლებს შესაბამისი პროექტების მონაცემთა ბაზას; ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესს.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგის განსაზღვრა/განვითარებასა და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესების რეგულირებას. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით. ამავე საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე უნივერსიტეტი ყოველწლიურად გამოჰყოფს ინსტიტუციური განვითარების გრანტებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ წარდგენილი პროექტებისთვის, რომელიც ემსახურება კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების ხელშეწყობას. განვითარების სამსახური ხელს უწყობს უნივერსიტეტის მკვლევრებისა და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში კვლევისა და სწავლების მიმართულებით და უზრუნველყოფს შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას და მოზიდვას. განვითარების სამსახური სთავაზობს მხარდამჭერ სერვისებს: დახმარებას საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში; საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმების ფორმირებაში; გრანტების ადმინისტრირებაში; კვლევით ჯგუფებთან და დონორებთან ურთიერთობების გაღრმავებაში; საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი შეხვედრების ორგანიზებაში; საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის ხელშეწყობაში.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში. კერძოდ, ამ მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი, რომელშიც განსაზღვრულია კონკრეტული მოთხოვნები უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტებისთვის. აღსანიშნავია ასევე ის, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი წარმოადგენს კვლევითი ინსტიტუტის მკვლევრებს, რომლებიც ჩართულნი არიან მიმდინარე კვლევით პროექტებში. მკვლევარები უნივერსიტეტის კვლევით საბჭოს ყოველწლიურ წარუდგენენ ანგარიშს კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ.

უნივერსიტეტში კვლევითი პოტენციალის გაზრდას ასევე ემსახურება ახალგაზრდა

მკვლევებისთვის დაწესებული ჯილდო - „პასკალის პრემია“, დარგში გაკეთებული განსაკუთრებული სამეცნიერო პუბლიკაციისთვის. საგარეო ურთიერთობების სამსახური უზრუნველყოფს შესაძლებლობების შექმნას უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო მობილობისათვის ERASMUS + პროგრამების ფარგლებში; ხელს უწყობს უცხოელი მკვლევებისა და პროფესორების მობილობას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებს შორის კავშირების დამყარებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პირადი საქმეები
- პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- გაცვლითი პროგრამები
- განვითარების სამსახურის, საგარეო ურთიერთობების სამსახურისა და კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულებები
- სერვისებით კმაყოფილების კვლევა
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი
- კვლევითი ინსტიტუტების დებულებები
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ ლექტორებთან

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

#### 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურით და ტექნიკური აღჭურვილობით (მათ შორის, ლაბორატორიებით); ასევე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უნივერსიტეტის კუთვნილი კვლევითი ბაზების (ახალქალაქში, სტეფანწმინდაში, დედოფლისწყაროსა და გრიგოლეთში) რესურსებით. სტუდენტებს აქვთ წვდომა დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის რესურსთან, ასევე „გარემოს კომპლექსური კვლევის“ სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის, ქიმიის და სხვა სასწავლო ლაბორატორიის რესურსებთან და მონაცემთა ბაზებთან. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლების ლაბორატორიულ და საველე კომპონენტებს ლაბორატორიული ტექნიკით და რეაგენტებით. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში ტრანსპორტირებით და ბაზებზე განთავსებით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ინფორმაციული რესურსცენტრია, რომელიც მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზების გზით მაქსიმალურად ხელმისაწვდომსა და ადვილადგამოყენებადს ხდის საინფორმაციო რესურსებს და ამგვარად ხელს უწყობს აკადემიური პროცესების ხარისხის ამაღლებას, თანამედროვე მიდგომებით სწავლების განხორციელებასა და ახალი ცოდნის გენერირებას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მომხმარებელს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მოიცავს:

- სამკითხველო დარბაზებს;
- ჯგუფური მუშაობის სივრცეებს;
- მულტიმედია რესურსებითა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილ კუთხეებს;
- კომპიუტერულ რესურსცენტრებს;
- შეხვედრებისა და ტრენინგების ოთახს;
- წიგნსაცავებს და სხვა.

ბიბლიოთეკაში მოქმედებს სარგებლობის წესები, რომელიც სხვა ხასიათის ინსტრუქციებთან ერთად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე და თვალსაჩინოა დარბაზებსა თუ სხვა ტიპის სივრცეებში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მომხმარებელს სთავაზობს მუდმივად განახლებად წიგნად ფონდს. აღნიშნული ფონდი საშუალებას იძლევა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს ამა თუ იმ დარგში მიმდინარე განვითარების უახლესი ტენდენციები, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევასა და კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის მაღალ დონეზე განხორციელებას.

ბიბლიოთეკა ასევე უზრუნველყოფს საკითხავი მასალის “რიდერის” დამზადებას როგორც

ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. ნაბეჭდი რიდერი ხელმისაწვდომია სამკითხველო დარბაზებში, ხოლო ელექტრონული - შესაბამის პორტალზე, რომელზეც წვდომა მხოლოდ საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის გამოყენებითაა შესაძლებელი. რიდერი მზადდება პროფესორის, ან კურსის ხელმძღვანელის მომართვის საფუძველზე, საავტორო უფლებების სრული დაცვით. აღნიშნული რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონულ საძიებო კატალოგში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მუდმივად ზრუნავს საერთაშორისო და აკადემიური ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და ბაზების კოლექციებზე ხელმისაწვდომობის განვითარებაზე. შესაბამისად, ბიბლიოთეკა ამ კუთხით მუდმივად სთავაზობს მომხმარებელს სიახლეებს და ფლობს მდიდარ ელექტრონულ ბიბლიოთეკას. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ცალკეული ჟურნალები, ელექტრონული წიგნები და ბიბლიოთეკები.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მომხმარებელთან ინტერაქცია სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებულ სერვისებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტრენინგებს “სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენებისა” და “საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების გამოყენების” შესახებ. აღნიშნული ტრენინგები მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს მომხმარებლისთვის გაცნობა იმ რესურსებისა და სერვისებისა, რომლის გამოყენებასაც ბიბლიოთეკა სთავაზობს მათ სასწავლო და კვლევით პროცესში.

გარდა ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მიერ ჩატარებული ტრენინგებისა, ბიბლიოთეკა საუნივერსიტეტო საზოგადოებას ასევე სთავაზობს საერთაშორისო ექსპერტებისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით სხვადასხვა ტრენინგებს, სამუშაო და საორიენტაციო შეხვედრებს, რომელიც ხელს უწყობს მათი ცნობიერების ამაღლებასა და უნარების გაუმჯობესებას ისეთ საკითხებში, რომელიც მნიშვნელოვან წილად დაეხმარება მათ სხვადასხვა აკადემიურ პროცესებში.

ინტერაქციის მნიშვნელოვან ფორმას ასევე წარმოადგენს ელექტრონული ფოსტისა და არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემის “არგუსის” გამოყენება. მათი საშუალებით საუნივერსიტეტო საზოგადოება და სტუდენტები იღებენ სიახლეების შესახებ ინფორმაციას და აქვთ საშუალება დისტანციურად იქონიონ უკუკავშირი ბიბლიოთეკასთან და პირიქით. არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი“-ი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემაა, რომელზეც სტუდენტი სწავლის დაწყებისთანავე რეგისტრდება. სტუდენტი სასწავლო პროცესს გეგმავს არგუსის საშუალებით. არგუსი ეხმარება სტუდენტს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან, უნივერსიტეტის სამსახურებთან კომუნიკაციაში, სასწავლო ცხრილის შედგენასა და სწავლის მიღწევების შესახებ ინფორმირებაში.

პროგრამაში გამოყენებულია სწავლების ელექტრონული პორტალი “Elearning” და პროგრამა TURNITIN. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს აქვს პირადი სამუშაო სივრცეები, რომლებიც გამოყენებული იქნება სტუდენტებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა "არგუსი"
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები
- ელექტრონული სწავლების პორტალი
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის

|  |
|--|
| <p>დამადასტურებელი დოკუმენტები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები</li> <li>○ სერვისების შეფასების კვლევა</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები;</li> <li>○ დათვალიერების შედეგები.</li> <li>○ თვითშეფასების ანგარიში;</li> </ul>  |
| <p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>-</p>   |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>-</p>  |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>-</p>   |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>-</p>   |
| <p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul> |

|   |
|---|
| <p><b>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</b></p>  |
| <p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>  |
| <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამის უზრუნველყოფისათვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, პროგრამის საჭიროებების შესაბამისი ფორმით და ეკონომიკურად მიღწევადია. პროგრამა ფინანსურად სტაბილურია და მისი ბიუჯეტი ფარავს საოპერაციო ხარჯებს პროგრამის განვითარებისათვის, საჭირო რესურსების დაფინანსების ხარჯებს, პერსონალის ხარჯებს და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა რელევანტურ ხარჯებს. პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს პირველ რიგში მატერიალურ ტექნიკური რესურსების გაახლებას,</p> |

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებას, ინტელექტუალური რესურსების მოზიდვას, აკადემიური პერსონალის განვითარებას. პროგრამაში გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის და ლაბორატორიული სამუშაოების უზრუნველყოფა ხდება სასწავლო ლაბორატორიებით, აგრეთვე, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით.

კვლევით ინსტიტუტებს აქვთ ბიუჯეტი, რომლის ფარგლებში ხდება საჭირო ხარჯების გაწევა. სწავლების ასისტირებაში ჩართულია სადოქტორო პროგრამების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სტუდენტები.

პროგრამაში ჩართული პროფესორები და მკვლევრები მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გაცემულ გრანტებში, რომლის ბიუჯეტიდან აგრეთვე ხდება კვლევისათვის საჭირო რესურსის შექმნა.

წარმოდგენილ პროგრამის ბიუჯეტში მოყვანილია მხოლოდ მოქმედი პროგრამის სამი მიმართულებიდან (გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, გეოლოგია, გეოფიზიკა) ერთის, კონკრეტულად გეოლოგიის მიმართულების ბიუჯეტი, გათვლილი 25 სტუდენტზე, რომლის მდგრადობაც ეჭვს იწვევს. თვითშეფასებიდან ირკვევა, რომ არსებული პროგრამის სამივე მიმართულებაზე დღეისათვის აქტიური სტატუსი აქვს 106 სტუდენტს. ასეთი გაანგარიშება გასაგებია, რადგან მოდიფიცირებული პროგრამის საფუძველს წარმოადგენს გეოლოგიის მიმართულება. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ პროგრამა ფინანსურად სტაბილურია და მას არავითარი საფრთხე არ ემუქრება. ამიტომ სასურველი იყო ბიუჯეტის გათვლა მომხდარიყო დღევანდელი რეალური მონაცემებით, არსებული პროგრამის მოცულობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამის ბიუჯეტის გათვლა მომხდარიყო არა მისი ნაწილის, არამედ მთელი პროგრამის მოცულობით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა



- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი                         | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓                            |                                       |   |                                     |

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება   |
|--|
| <p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>   |
| <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდა ხარისხის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად. პროგრამის ხელმძღვანელი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსსა და სპეციალისტთან ერთად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. შესაბამისი პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტები და მექანიზმები აღწერილია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციასა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესში. შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. პროგრამის ამოქმედებასთან ერთად გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მიღწევადობის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. მოხდება სამიზნე ნიშნულებთან მიმართებაში მათი შესაბამისობის განხილვა, აგრეთვე პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის და დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი.</p> |

პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის პროფესორ-მასწავლებლებთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შიდა თვითშეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიმუშავებს შიდა თვითშეფასების ანგარიშს, რომელიც მოიცავს საანგარიშო პერიოდში თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზსა და ანალიზის საფუძველზე პროგრამული ცვლილებების პაკეტს. შეიმუშავებული თვითშეფასების ანგარიში განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
  - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
  - სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
  - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
  - კვლევის ინსტრუმენტები
  - ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

- შეფასება**
- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2 გარე ხარისხის შეფასება**

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტი იყენებს გარე შეფასების მექანიზმებს, რომელიც ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას“, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“ და „აკრედიტაციის სახელმძღვანელოს“. საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების მიზნით პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და დიზაინის შემუშავებისა და დახვეწის პროცესში, გათვალისწინებული აქვთ QAA Subject Benchmark Statements: Earth Sciences, Environmental Sciences and Environmental Studies (2019) საერთაშორისო სამიზნე ნიშნულები, ასევე პროგრამის კურსდამთავრებულთა კითხვარები.

გარე შეფასების ფარგლებში მოხდა პროგრამის გარე განხილვა, რომელშიც მონაწილეობდნენ დამსაქმებლები. მათი რეკომენდაციით პროგრამას დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსი „სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიის საფუძვლები“, ასევე გარკვეულ სასწავლო კურსებში მოხდა თემატიკების გადახედვა. დამსაქმებლების მიერ დადებითად შეფასდა პრაქტიკის კომპონენტის არსებობა პროგრამაში.

საბაკალავრო პროგრამის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ თვითშეფასების ჯგუფმა ძირითადად გაითვალისწინა 2011 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და საგანმანათლებლო პროგრამაში შეიტანა შესაბამისი ცვლილებები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დამსაქმებლების ფოკუს ჯგუფის და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ანგარიშები;
- QAA Subject Benchmark Statements: Earth Sciences, Environmental Sciences and Environmental Studies (2019)

**რეკომენდაციები:**

-  
**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-  
**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია შიდა ხარისხის კონცეფცია, რომელშიც გათვალისწინებულია შიდა და გარე აქტორების მონაწილეობა შეფასების, მათ შორის პროგრამების შეფასების პროცესებში, სტრუქტურული ერთეულების მიერ შეფასების შედეგების გამოყენება საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისთვის და უნივერსიტეტში სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულება.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. აღნიშნული პროცესების ფარგლებში გამოიყენება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები დაწესებულების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის.

სისტემურ და საჭიროებაზე დაფუძნებულ კვლევებს/შეფასებებს უნივერსიტეტი ახორციელებს თვისებრივი, რაოდენობრივი და შერეული მიდგომებით. შეფასების ანგარიშვალდებულება - ხდება კვლევის დოკუმენტირება, შეფასება. არსებობს კვლევის შედეგების გადამოწმების შესაძლებლობა.

შიდა ხარისხის სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება პროგრამის (სწავლა-სწავლების), კვლევის, სერვისების, რესურსების შეფასება განსაზღვრული პერიოდულობით. სისტემური კვლევები იძლევა ლონგიტუდური მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვებისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრის შესაძლებლობას.

საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება კონკრეტული პრობლემის მიზნობრივი კვლევა, რაც იძლევა პრობლემის გადაფასების და მასზე ორიენტირებული ინტერვენციის განხორციელების შესაძლებლობას.

შიდა ხარისხის კვლევების/შეფასებების მიზნებისთვის გამოიყენება როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები. კვლევები ხორციელდება წინასწარ შემუშავებული ან ad-hoc შექმნილი ინსტრუმენტებით.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით გათვალისწინებული კვლევის შედეგები გამოიყენება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების მიერ საკუთარი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებისა და სერვისების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნებისთვის.

თუმცა, სასურველია პროგრამა იყენებდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა მხრიდან განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, მითუმეტეს, რომ მსგავსი პროგრამები საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც ხორციელდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”
- დასაქმების კვლევა
- პროგრამით კმაყოფილების კვლევა
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას სხვა უსდ-ებში დასაქმებული კოლეგების მიერ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები  | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓                            |                                       |   |                                     |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა     |                              | ✓                                     |   |                                     |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა                                   | ✓                            |                                       |   |                                     |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა   | ✓                            |                                       |   |                                     |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები                                      | ✓                            |                                       |   |                                     |


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

შალვა კელეპტრიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მალხაზ ღვინჯილია



გიორგი ბრეგვაძე



ცოტნე ცაავა

